

საქართველოს კანონი

„საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998, გვ. 37) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაზე ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთები სამმაგდება.“.

2. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი